ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4512737

ნომერი: AR1677390

თარიღი : 24.04.2019

გაცემის თარიღი : 23.05.2019

გაცნობის თარიღი : 23.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი სიჭინავა პ/ნ 01002010942
- ქ. თბილისი, კოტე მახარაძეს 4, ბინა 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 22 მაისის NAR1677390 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3917963 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
გაცნობებთ, რომ სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506883 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფოიეს ფართობის ცალკე გამოყოფის გარეშე წარმოდგენა. ასევე, განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნის განმარტება აივნების ფართობების ბინების ფართობებისათვის დამატებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დაგევალათ დეტალური განმარტებით ბარათის წარმოდგენა, თუ რამ გამოიწვია ზემოაღნიშნული ფართობების ცვლილება და საჭიროების შემთხვევაში, ფართების საანგარიშო კროკების წარმოდგენა.

სამსახურმა, შეისწავლა თქვენ მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარვეზი არ იქნა სრულად შევსებული. კერძოდ, კვლავ არ არის წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფოიეს ფართობის ცალკე გამოყოფის გარეშე. ასევე, სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3917963 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, -3.10, ±0.00, +7.50, +10.80,+14.10 და +17.40 ნიშნულებზე ტექნიკური შეცდომა ისევ არ ფიქსირდება. ასევე, +4.20 ნიშნულის გეგმაზე N17 ბინის საერთო ფართობი შეადგენს 56.0 კვ.მ-ს, თუმცა წარმოდგენილ გეგმებზე ფართები კვლავ არასწორად არის დატანილი. შესაბამისად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას „CAD” ფაილი შესაბამისი საანგარიშო კროკებით.

ვინაიდან, სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506883 ბრძანებას გაეცანით 2019 წლის 20 მაისს, ხოლო განცხადება, ხარვეზის შევსების მიზნით, წარმოადგინეთ 2019 წლის 22 მაისს, მის გამოსასწორებლად განსაზღვრული 5 (ხუთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 3 (სამი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506883 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 2019 წლის 24 აპრილის NAR1677390 განცხადება, დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.